

„დედაშვილობაშ“ — „დედაშვილობას“ ტიპის ფიცის
ფორმულების შესახებ

ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში ხშირია ფიცის შინაარსის მქონე გამოთქმები. ასეთი გამოთქმები იყო ძველ ქართულშიც. კიდევ უფრო მეტაც ახალში. თავისი სტრუქტურითა და სემანტიკური ნიუანსებით ისინი საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნიან. შეღვენილობის მიხედვით შეიძლება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული გვიფრი გამოყოფო: პირველში გაერთიანდება გამოთქმები, რომელთაც დაფიცების გამოსახატავად თვით ფიცი (ქვ. ქართ. ფუც) ძირის ზმნები ახლავს. შინაარსის მიხედვით ეს ჭვეფი ნაირგვარია. მაგალითები:

ვფიცი ღმერთსა ცხოველსა, მშე მისდა არა ჭობნილა („ამირანდარებ“); მე თქვენოვის ბევრი შემიცოდებია და რათან ცოცხალს ერთ მაწყინეთ რა, გაფიცი მე ღმერთსა, რა მოვედო: თორი მომაბით, გამათრიეთ და ხეხედ ჩამოგიღეოთ (საბა); შენ ვჟეს ვფიცი ვ, სოფია, ჩემი საფირჩებელი ეგ არის (ლ. არდ); აუმცა მპარავნი არ მიპოვოთ, ვფიცი ვ თავსა ჩემსა, მუცლებს დაგიპობ ყოველთაო (საბა); დეღი, ვფიცი ღმერთშეიღო მას, ამის ერის სხინ ითხოვს და ამ დროს შეიძლება სხვა რამეზე ჭვერი? (შ. არაგ); მა მა შეიღო გაფიცებ, ნე მოხეალ (რ. გვარ); უხეირა ვინმეს არ შემყარო, თორებ სირცეველს გაჭმებ, პლატონ, მიგიტოვებ ქალს და სხვის მე თვითონ მოვიჩნევ!.. მა მა შეიღო მას გაფიცები (დ. კლდ); ბავლე, გაფიცებ ყმაწვილაცობას, შეძმივრო თვითი (დ. კლდ); ძმობას ვფიცი ვარ, მეც ვნანობ, რომ შევები მაგ საქმეს, მარა რა ვქნა? (დ. კლდ); ათ ღლეც არის, რაც მოხვევს თეიმურაზი ალექსანდრისა... შენ სიცოცხლეს ვფიცი (ლ. არდ); გაფიცები ღაძმობას, მხლოდ ეხლა დავიკრისე (შ. მდგომ); მამაქნის სულს გაფიცები, ეს ღვინო ღვალებს არ დაუვარება (უიარ); იმ მამაქვენის საფლავს გაფიცებ, მე როგორადაც თქვენის სახლის შეილსა და მეგობარსა, გამიცხალოთ თქვენი მოუნელებელი ღარდები (ლ. არდ); ჩემს მოხურებას გაფიცი ვ, მარინეს რომ ცელი რამე შეამთხვიო, ვერც დედა და ვერც შვილი ცოცხალი ვერ გადამიჩნებით (დ. კლდ); მამავ, ვფიცი ჩემ მშობლებს, ჩემ გამჩენეს... შენ მამობას და ნარგიზას დედობას, არ ვავამტურონ შენი ნდობა (შ. არაგ).

ფიცის შინაარსის მქონე გამოთქმების მეორე ჯგუფში ფიც-
(ფუც-) ძირის ზმნები არა გვხვდება. თავის მხრივ, ამ ჯგუფის გა-
მოთქმებიც არაა ერთგვაროვანი. აქაც შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის
კონსტრუქცია. ერთ-ერთ მათგანში ფიცის შინაარსის გამოხატვა და-
კისრებული აქვთ ისეთ ზმნებს, რომლებიც ამ მნიშვნელობას იძე-
ნენ მხოლოდ გარევეულ კონტექსტში (დამოუკიდებლად კი ასეთ მნი-
შვნელობას მოყლებულნი არაან). ასეთი გამოთქმებია, მაგალითად:
შენ(ც) არ მომიკვდე, შენ ნუ მომიკვდები, თქვენ(ც) არ მომიკვდეთ,
დედა (მამა...) არ მომიკვდეს, მამა(დედა...) არ წამიწყდეს (ნუ წამიწყ-
დება) და მისთ. მაგალითები:

შენც არ მომიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ
დამითვლია (ილია); შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ,... ჩიხირომას ბოჩბაში
არ სჭიბდეს (ილია); ხემი გაზრდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავშვი...
სწორედ სულელი გამოვათ (აკაი); ამ სიცემში შეწუხდებით ნამეტნავად, თქვენ
ნუ მომიკვდები იმით (დ. კლდ); მე მაგას არ ვიყადრებდი, თავი არ მა-
მიკვდება (ილია); ხეჭეჭური არ არის, ვართალია, მარა, თავი ნუ მომი-
კვდება, ძალიან ვერიელი მსხალია (რ. გაფარ); კარგად არა ვოჭვი, ის კარგი
და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? (ილია); მამის სული ნუ წა-
მიწყდება, ვეღარას გამისწრებ (რ. გაფარ); დედა არ მამიკვდება,
ისეთ კურდღლებს მოგიყვან, რო შენდენები იყვნენ (ნ. ლომ); შერცხვე-
ნილი ვიყვე, თუ ეს ამბავი რამეს ჰგავდეს (დ. კლდ); აბესალო, ვიყვე
დეთისაგან შეჩერენებული, თუ შენ ამაში არ ცდებოდე! (დ. კლდ).

ფიც- (ფუც-) ძირის არმქონე გამოთქმების მეორე ტიპის კონ-
სტრუქციაში ფიცის შინაარსის გამოხატვა არ სებით სახელს
აქვს დაკისრებული (შესიტყვებებში არსებით სახელთან ერთად სხვა
მეტყველების ნაწილებიც იხმარება, უმთავრესად — ნაცვალსახელები).
ასეთი გამოთქმებია: ღმერთმანი, მე და ჩემმა ღმერთმა, დედაშვილობამ,
დედაშვილობას, მამაშვილობას, მამაშვილობამ, ჩემმა (შენმა, თქვენ-
მა...) მზემ და მისთ. ამ გამოთქმებში (ისევე, როგორც ზემომოყვანილ
ზმნერ კონსტრუქციებში) არსებითი სახელი ფიცის მნიშვნელობას
იღებს მხოლოდ სათანადო კონტექსტში. ჩენთვის მხოლოდ ეს ჯგუ-
ფია სიინტერესო და ყურადღებასაც ძირითადად მასზე შევაჩერებთ,
რამდენადაც სწორედ ამ ჯგუფის ფიცის ფორმულებში არცთუ იშვია-
თად შეინიშნება არსებითი სახელების უმართებულოდ ხმარების შემ-
თხვევები (გამოთქმებში, საღაც რეალურად არსებობს ფიცის გამომხა-
ტველი ზმნები, ასეთი დარღვევები არცაა მოსალოდნელი).

აკად. აკ. შანიძე შორისდებულის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევს
„ფიცილის ფორმულებს“: «ღმერთმანი, დედაშვილობამ, მამაშვილო-
ბამ, ძმობამ, ჩემმა მზემ (ან: შენმა მზემ), „ლაშარის ჯვრის მაღლმა“ (ვი-

ეთ...), „ლაშარის ჭვრის გამარჯვებამ“ (იქვე...), „ზენაარმან ღმრთისა-მან“ („ამირანდარებ.“) და სხვ»¹.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ დედაშვილობა სიტყვა-სტატიიში ◊ ნიშნის შემდეგ აჩის მყარი გამოთქმება: ◊ დედა-შვილობამ, დედაშვილობას (მსოლოდ მოთხრობით სა და მიცემით ბრუნვაში) საფიცარი სიტყვა, როცა შვილი დედას ან დედა შვილს (ან კიდევ დედად ან შვილად მისაჩნევ აღმიანს) მიმართავს, — ლელაშვილობას გვიცები, დედაშვილობას გაფაცებ; გთხოვ, გვეძლები². ანალიგიურ გამოთქმას (იდენტური განმარტებითურო) ვხვდებით იძიავე ლექსიკონის მამაშვილობა სიტყვა-სტატიაში³ (შრრ. აგრეთვე მყარი გამოთქმები ◊ ნიშნის შემდეგ სიტყვა-სტატიებში: მზე, გაზრდა, გახარება, სიცოცხლე, მაღლი და სხვ.).

იბადება კითხვა: მაინც რომელ ბრუნვაში იხმარება სახელები აღნიშნულ კონტრუქციებში, და თუ რამდენიმე ბრუნვაში — არის თუ რა განსხვავება ამ სახელთა ბრუნვების ფუნქციებში, თუ თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს სახელის მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვა?

უნდა ითქვას, რომ ფიცის შემცველი გამოთქმები, ჩვეულებრივ, დიალოგური მეტყველების კუთხინილებაა. ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად ფიცის შემცველი დიალოგის ორი სახე უნდა განვასხვავოთ: ერთ შემთხვევაში მთქმელი ცდილობს დაარწმუნოს მოსაუბრე (მსმენელი, მკითხველი) ნათქვამის სისწორეში, კეშმარიტებაში, სინამდვილეში; იმიუბა, რომ ეს ნამდვილად ასეთ და მოწმედ ასახელებს წმიდათაწმიდას, ყველაზე უფრო ძეირფასის, საფიცვარის აღმნიშვნელ სიტყვას. ამ ტიპის გამოთქმებისათვის, მაშინადან, დამიხა-

ବ୍ୟାନିଦୀ, ଫେରିଲୁଙ୍କ ଯେତେ ପରିବାରୀଙ୍କ ବ୍ୟାନିଦୀ, I, 1973. ମୂ.,
ପୃ. 625-626.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III.

3 ed30, Ch. V.

სიათებელია რწმუნება-მტკაცების ნიუაში. ამგვარ ფიცის ფორმულებში არსებითი სახელი მოთხოვით ბრუნვაში დას: ღმერთმანი, მე და ჩემმა ღმერთმა, დედაშვილობამ, მამა-შვილობამ, ჩემმა (შენის, ოქვენის...) მზემ და მისთ.

ფიცის შინაარსის მქონე დიალოგის მეორე ჭგუფი აერთიანებს ისეთ გამოთქმებს, რომლებიც გამოხატავენ თხოვნას, ხევწნას, მუდარას: გუფიცები, გახვეწები, გვეცრები შემთხვეულო ესა და ეს თხოვნათ. ამდენად ამ ტიპის გამოთქმები ხასიათდება ხვეწნა-ბრუნვაში ის შინაარსით. ფიცის ფორმულის ამ ჭგუფის არსებითი სახელები-სათვის ნიშანდობლივია მიცემითი ბრუნვა, ასეთებია: დედა-შვილობამ, მამა-შვილობას, ჩემს (შენს, ოქვენს...) მზეს და მისთ.

შენიშვნა 1. ენაში (მართალია, არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება რწმუნება-მტკიცების გამოშხატველი ფიცის ფორმულის სხვა სახეც, საღაც არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაშია დასმული. ასეთ სახელებიდ გამოყენებულია: ღმერთი, რჯული, ხატი, ჭვარი...).

მაგალითები:

არც თვითონა ვართ უხეირონი, ღმერთი, რჯული (ილი);

ეგებ წინეთაც ჰყავდა შვილი და შენ... — რჯული, ხატი, ჭვარი

შეჩვენებული ვიყო! ასე დამემხოს თავი! — და არისტომ მიწის ღაბერტყა თავისი ლამზი ახალი პატარა შოთონი (დ. კოლუ);

ღმერთი, რჯული, არა მტართებს, დაიკურეთ, ქრისტიანები არა ხართ? (მ. არავა); ღმერთი, რჯული, მე ამ საქმეში უბრალო ვარ, — და [ზაბლა] პირველი გადაიწერა (მ. ჭავახ.).

ასეთ გამოთქმებში დაფიცებას დაახლოებით ასეთი აზრი აქვს; ღმერთს (რჯულს, ხატს, ჭვარს) ვფიცავ, რომ ეს ასეა. ამოსავალი, ალბათ, უნდა ყოფილიყო: ღმერთი (რჯული, ხატი, ჭვარი...) დამიფაცებია (=მოწმედ გამიხდია).

ჩენიშვნას საინტერესო ფიცის ფორმულებში ერთი და იგივე არსებითი სახელი შეიძლება იყოს ან მოთხოვთ, ან მიცემით ბრუნვაში. ბრუნვის ფორმას, ცხადია, გამოთქმის საერთო შინაარსი განსაზღვრავს.

შენიშვნა 2. ფიცის ფორმულაში შემავალ ზოგიერთ არსებით სახელს არ გააჩნია ორივე ბრუნვის (მოთხოვთისა და მიცემითის) ფორმა. მხოლოდ მოთხოვთში გვხვდება სახელები: ღმერთი (ღმერთმანი, მე და ჩემ-

მა ღმერთის), თავი (თავმან ჩემმან, უენმან, თქვენმან... სიცოცხლე⁴ (შენდა სიცოცხლემ, თქვენმა სიცოცხლემ...).

ისიც უნდა ითქვას, რომ ფიცის ფორმულებში შეი-
ფი არებითი სახელები მოთხოვითსა თუ მიცემით
ბრუნვაში თანაბარი სიხშირით არ ისმარება. მაგალითად,
უფრო ხშირად მოთხოვითშია ნახმარი სახელები: ჟე-
ნაარი, მადლი, სამაგიეროდ, უპირატესად მიცემითში
გვნედება: დაძმობა, გახარება და სხვ.

განვიხილოთ ფიცის ფორმულის შემცველი გამოთქმები მათი წი-
ნაარსის მხედვით.

პირებულ ჯუფში მოთავსდება რწმუნები პ-ტკიცების ში-
ნაარსის მქონე ფიცის ფორმულები, რომლებშიც, როგორც აღნიშნუ-
ლი იყო, არებითი სახელი მოთხოვით ბრუნვაში დგის.

1. ღმერთმანი:

რა ექნა, ღმერთმანი, ფულები კი არა მშენს, მაგრამ მოცული არ არის
(დ. ჭონე); მზითვით, თუ კაცი მართალს იტყვის, ქალის ნაკლებობის შესატებია,
ღმერთმანი! (დ. კლდ); თუ მაგან ირინეს თავი არ დაანება, ღმერთმანი,
შეტა აღარავინ მოუთმებს (დ. კლდ); ღმერთმანი, ეგრე კარგი იქნება, ძმაო,—
ოქა ერთმა (ნ. ლომ); არ ვიცი, ღმერთმანი, ას რაც ხდება (ვაჟა); საკვირვე-
ლი ადამიანი ხარ, ღმერთმანი (ნ. ლორთქ.).

2. მე და ჩემმა ღმერთმა:

ფიცის ეს ფორმულა განვითარებული ჩანს ახალ ქართულში:

მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამპობს, — თქვეს მოსამართლებმა
და დაიოთხვეს შინ გამართლებული გოორგი (ილა); მართალს ამპობს, მე და

4 ჩევნ არ შეგვხელჩა ფიცის ფორმულებში სიცოცხლე მიუერთო ბრუნვაში.
შეგრამ გამორიცხული არაა, რომ ეს შემთხვევით იყოს. შეუძლებლად არ მივგა-
ნია მისი არსებობა მიუერთო დაღსტურებული ისეთი სახელების გვერდით, რო-
გორიცაა გარდა, გახარება, ცხონება და მისთ.

5 ეს სიტუაცია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუკითხებუნ, მიღებულია
ძვ. ქართული გამოთქმის „ღმერთმან იცის“ შეერთებით და შემდეგ მისი გამარ-
ტივებით. შედრ. ღმერთმან იცის, კარგი გულოვანი ჭაბუკი ხარო, შეგრა
და საჭირო გზა არის და ნუ წამოხვალო („ამირანდარეჭ.“); ჩემი გულისა ღმერთ-
მან იცის და შენცა, რომელ წამისიც ედრ დაეთმობ უშენობას („ვასრ.“) ამის-
თან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმა ღმერთმა(ნ) იცის (ან იცის
ღმერთმა) თანამდებროვე ქართულ ენაშიც იხმარება. მაგ.: იცის ღმერთმა, რომ
ირინე არაუკრ მაგისთანაში დანაშაული არ არის... იცის ღმერთმა!

ჩ ე მ მ ა ღ მ ე რ თ მ ა, გაიხსოურა ხალხშია (ილია); მ ე დ ა ჩ ე მ მ ა ღ მ ე რ თ მ ა, დედაშენი ცას დაწევდა, შენ ცოლს რომ ჩახატა (ხ. შგალ); მ ე დ ა ჩ ე მ მ ა ღ მ ე რ თ მ ა, კაი ღვისის წყალობაა ეგ! (ხ. ლომ); ეგ შენი სიტყვები, მ ე დ ა ჩ ე მ მ ა ღ მ ე რ თ მ ა, ნაძვილი წამალია (დ. კლდ); სწორედ კარგი ჭორი გყავს, სოლომან, მ ე დ ა ჩ ე მ მ ა ღ მ ე რ თ მ ა (დ. კლდ).

ფიცის ფორმულის ასეთ მოდელს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი გამოთქმაც:

ჩ ი ღ ა ჩ ე მ მ ა ს ი ყ მ ე მ, ი ც ლ - წ ვ ი ლ ი ნ უ გ ა მ ი წ ყ დ ე ბ ა, რ ი მ ა გ ი თ ა ნ ა ა რ ი ს ა მ ა ნ ს ე რ ი ს ა მ ა ნ ე რ ი ს ა მ ა ნ (ხ. შგალ).

3. ზენაარმან ღმრთისამან.

ფიცის ეს ფორმულა მხოლოდ ძველი ქართული ენის კუთვნილებაა:

ზ ე ნ ა ა რ მ ა ნ ღ მ რ თ ი ს ა მ ა ნ, რ ა დ გ ა ნ ე გ რ ე კ ა რ გ ი ჭ ა ბ უ კ ი ა რ ი ს, თ უ მ ი ღ ი რ ი თ, ა რ ი მ ი ვ ე ლ ი ა („ა მ ი რ ა ნ დ ა რ ე ბ ა“); კ ა რ გ ა დ გ ა მ ი ღ რ თ ხ ი ლ დ ი, ზ ე ნ ა ა რ მ ა ნ ღ მ რ თ ი ს ა მ ა ნ ღ მ ს ტ უ რ ა ღ დ მ ი გ ვ ლ ი ა (ი ჯ ე); ე ს ე ქ ა რ ვ ა ნ ი ჩ ე მ ი ა დ ა გ ა ი ძ ა რ ც ვ ი ა, დ ა თ უ ყ ე ლ ა ს ა ხ ე ლ თ ა რ ი ა მ ი მ ც ე ბ ი, ზ ე ნ ა ა რ მ ა ნ ღ მ რ თ ი ს ა მ ა ნ ღ მ ს მ ი ე მ ა ნ პ ა ტ რ ი ნ ი ს ი ჩ ე მ ი ს ა მ ა ნ, რ ა ც ა მ ქ ა რ ვ ნ ი ს დ ა შ ე ნ თ ა ლ ა შ ე ა რ თ ა გ ი ზ ა მ ა ნ გ ი ზ ა მ ა ნ (ი ჯ ე).

4. მ ხ ე მ (ა ნ):

ო დ ი თ ა ღ დ ე ნ მ ი მ ა ნ მ ი ზ ე მ ა ნ, კ ი თ ა რ დ ა ვ ე შ ა პ ი ს ა მ ა ნ ა მ ი რ ა ნ ა შ ე ბ ი ნ ა მ ა ნ ც ა ტ ე რ ა ღ დ ა დ ა გ უ ლ ა უ შ ე ნ ი ბ ი ს ა ვ ი რ ი თ ა მ ი ვ ი ს („ვ ი ს ხ .“); მ ა ნ გ ა ი ც ა ნ ა დ ა ე ვ რ ე ვ ე ვ ა, ვ ი თ ა ვ ე ბ ი ა რ ა ბ ა მ, ზ ე ნ მ ა ნ მ ხ ე მ ა ნ, მ ი ც ა ტ ე ნ ე ბ ი უ ლ ა რ ! („ა მ ი რ ა ნ დ ა რ ე ბ ა“); ზ ე ნ მ ა ნ მ ხ ე მ ა ნ, თ ა ღ ი ა ჩ ე მ ი ს მ ა რ თ ე ბ ს უ შ ე ნ ი ს ა (რ უ ს ტ); ზ ე ნ მ ა ნ მ ხ ე მ ა ნ, უ შ ე ნ ი ს ა რ ე ვ ი ს მ ი პ ხ ე ლ ე ს მ თ ვ ა რ ე ზ ე ნ ი (ი ჯ ე); ლ ვ ი ნ მ უ თ ხ რ ა: ზ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა ნ, პ ე რ ი თ, გ რ ი ლ ი ხ ა რ ლ ი ა ღ ა მ ა ნ (თ ე ი მ. II); ე გ ლ რ ი ს ს უ კ ე ბ ი, ზ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა, რ ა დ ა ც უ ნ დ ა ლ ი რ ს ! (ი ლ ი ა); ა რ ც ე გ ა რ ი ს უ რ ი გ ო, ზ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა (ი ლ ი ა); მ ე კ ა, ზ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა, ი მ ი თ ს ა ქ ე შ ი ა რ ა ვ რ ე უ ლ ე ბ ა რ (ლ. ა რ დ); რ ა პ ლ ა მ ა რ ი ლ ი ს კ ა კ ა ს ... ი შ ე ვ ა თ ა კ ა კ ა, ზ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა, ი შ ე ი ა თ ი (ხ. შგალ); მ ე ც ე გ მ ი ნ დ ლ ი დ ა, ზ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა, მ ი მ ე ბ ს ე ნ ე ბ ი ნ ა, მ ე ც ე ვ ბ ა ტ რ ი ნ ი (ხ. გ ა მ ს); ზ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა, მ ა რ თ ა ლ ს კ ა უ ბ ი ნ ი (ხ. გ ა ვ ა ხ); დ ე ლ ი, ჩ ე მ ა მ ზ ე მ ა, ზ ე ნ მ ა ს ი ც ი რ ე ს ტ ლ ი მ, დ ა ნ ა მ ე ა რ ი ს (ხ. შ ა ნ შ);

ჰ ე რ ა მ ზ ე მ ა ნ ჭ ა ბ უ კ ე მ ა ნ მ ა ს ლ ა მ ა რ ლ ა ზ ე ნ ე ლ ს ა ჩ ა ბ ი ლ ა ხ ა ნ ს ზ ე ლ დ ა, მ ზ ე მ ა ნ თ ქ ვ ე ნ მ ა ნ დ ა თ ა ვ ა მ ა ნ თ ქ ე ვ ე ნ მ ა ნ დ ა თ ა ვ ა მ ა ნ წ ი ნ ა ს ა ტ ე ტ ს ა უ ნ დ ე ი რ თ ა ს ა ხ მ ა ლ ი დ ა ა ს ა ს ა დ ა მ ი კ ლ ა გ ა ნ ა მ ე ც ა („ა მ ი რ ა ნ დ ა რ ე ბ ა“); ქ ა რ ი ქ ა ს ი ს ე მ ა ნ ე გ რ ე თ ქ ვ ა, ვ ი თ ა თ ქ ვ ე ნ მ ა ნ მ ზ ე მ ა ნ, თ უ ლ ა ც ა რ ა ა ვ ე ი ც ვ ა ნ ე ბ ე ნ, ქ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე ლ ა მ ე ს უ კ ე ს ი ს ა ს პ ლ ი ა რ ა დ გ ა ს ა თ (ი ჯ ე); ა რ ა, თ ქ ვ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა ... ა რ ა, თ ქ ვ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა, ს უ ლ მ ა რ თ ა ლ ს გ ე ნ ე რ ლ ე ბ ს მ ი გ ა ს ე ნ ე ბ ი თ (ი ლ ი ა); დ ი ა ლ, თ ქ ვ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა მ ზ ე მ ა თ უ მ ა რ თ ა ლ ი გ ე ნ ე ბ ა ვ თ, მ ა რ თ ა ლ ი ც ე გ ა რ ი ს (ი ლ ი ა); გ ა ნ ა დ ა ნ ი შ ვ ა რ ყ უ ლ ი ა — ტ ყ უ ლ ი გ ა ხ ლ ა ვ ს, თ ქ ვ ე ნ მ ა მ ზ ე მ ა (ლ. ა რ დ).

ს ა ბ ყ ა რ მ ა ნ უ შ ე ი ნ ა დ ა თ ხ რ ა: — ს ე ლ მ წ ი ფ ი ს მ ზ ე მ ა ნ, ე ს რ ე თ ს წ ი ნ ლ ს ჩ ა გ ა შ ე ლ, გ ვ ე რ დ ი მ ი გ ტ ე ბ ი ს მ (ხ ა ბ ა); გ ო გ ი ს ც ლ გ ვ ი თ ა ლ ა რ ა ვ ა რ ა, ქ ი ლ ბ ა 264

ტონის მზემი (ლილ); — აბა, ნათლულო, არ გათხოვდები — კარგი, ნათლიას მზემ, დამესხენ, — და მორცებობით დაიხედი ძირს (დ. ჭონქ); აშალეთ ხლავე ე რაღაც მიგიქიარეთ — დაიძინა არჩილ ყლაპიაშვილმა, — თორები იგიგიშემას სულის მზემი, სუ მოგხოცამო ექა (ნ. ლომ); ისეთი დაყრდალული ადამიანია ნენე, ჩემი შვილების მზემი და ლხენმა, რომ მშებანში ორი არ მოიძებნება (ხ. მგალ).

5. თავმან:

ეს ფორმულა ახალ ქართულში თითქმის აღარ იხმარება. ტველ ქართულში კი (განსაკუთრებით „ამირანდარეჯანიანში“) ხშირად გვხვდება:

კვლა უბრძანა: თუმცა მისგან აწ არ იყვა მოგზავნილი,
თავ მან ჩე მან, თავსა მოგვევ, არად უნდა ამის ცილი (რუსთ);
თავ მან შე ნან, ცენა შეუტივეს სეულავლე და სრმალი არა ამიღოთ
(„ამირანდარეჯ.“); შეუზანენს და შეუტივეს ერთმანეთსა და თავ მან შე ნან,
ომად ქმა იყო (ძველი). თავ მან შე უთანისა და შე ნის ამან ცგშომი ფიცხელი
ომი არა მინახავს (ძველი); მოასხენა გაზირმან: თავ მან შე ნან, არცარა ენის
უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა თქვენისასო (ხაბა).

დაიწყო ომი, რომე, თავ მან თქვენ ნან შე ნან, არა ნახული ეგვითი ომი კა-
ცისა თვალითა („ამირანდარეჯ.“); შეუტივეს ორთავე და, თავ მან თქვენ ნან,
მოყლეს ათას-ათასი კაცი (ძველი); გაიყვანა ცენი ინდომან ჭაბუკმან და, თავ მან
თქვენ ნან, ვათა კატა მოკლა [ზარტორქა] (ძველი).

თავ მან მე ფისა მან, დიდად ბედუეტური თურე ხარ (ხაბა); მე შენ
დღეს წაღმა აღარის გეუბნები, თავ მან შე ფისა მან (ხაბა).

6. მადლმა:

თქვენ მი მა დლ მი, მოცლა არა მაქვს (ლილ).

ვიძინი კა არა, და აა ჩენი წმიდა გიორგის მადლ მა, პირი მერცე-
ვინება, რომ ისევ შენთან მოედივარ (ანტ. ფურც); უნდა გადაესახლდეთ საღმე,
ომრემ წმინდა გიორგის მადლ მა, ე ბავშვები სულ გაგვეკლიტება, —
სთქო სალომები (ნ. ლომ).

შენი ნათე ლ-მი ირონობის მადლ მა, ქალალდში ეგრე გვიწერია
(ნ. ლომ).

ჩემი რე ლის მადლ მა, გირივლებ, თუ წელსაც არა მომეცი რა (ნ. ლომ).

კერძიდგან გამოვეღო... ე წმინდა წირვის მადლ მა, რო ძლივ მო-
ვადგამდა ფეხებსა (ნ. ლომ).

ჰო, ზიარების მადლ მა, მართალს ვამბობ (ხ. მგალ).

საწყალი კაცი გარდაიცვალა და იმისთვის ვაგროებეთ; სამაღლობელი საქმეა,
ლეთის მადლ მა (ხ. მგალ).

ფუქრი არ არის ამისი, დედაშვილობის მადლ მა (ხ. მგალ).

ი მზი უქეის მადლ მა და ზიარება არ გამიშტრება, რომა წრეულ ხუ-
თი კოდი პეტრი მეელად ძლივს გამყვა (ხ. მგალ).

არა, არა, ლომისის მადლ მა, სიკუდილისა არ მეშინოს, არა! (ზ. არავ).

7. სიცოცხლემ:

შენგა სიცოცხლემ, მართამ, მამაჩემი არ წამიწყდება, დილით სილა-მომდინ რომ არ დაგინახო, მე ჩემი ღმერმარება (ლ. არდ); შენგა სიცოცხლემ, ასმათო, ისე მოვუცლი აა ჩემს შეიღწე ჟკეთ (გ. წერ).

თქვენგა სიცოცხლემ, სულითა და გულით მოხარული გახდავარ (ლ. არდ); თქვენგა სიცოცხლემ, ლექსანდრე, განვებ თქვენთვის მაქვს წვერლება (ლ. არდ); აღარ არის მოსვერება, თქვენგა სიცოცხლემ, დიდეკუპბისაგან ჭოვალდლე ხან ერთი მექატიკება, ხან მეორე (ლ. არდ); თქვენგა სიცოცხლემ, კინაზ, რომ თქვენი შეიძლი არ იყოს... სწორედ ძალლის ლექვივით დავიჩინაბლი (აკაფი); თქვენგა სიცოცხლემ, ძალიან ჭიათ სდომებია გაშეთის შედგენს (გ. წერ).

ჩემი გულიც ეგრე მითხრობს, ლუარსაბის სიცოცხლემ (ილა).

8. ცხონებამ:

არაუცრი არ უთქვაშს, მამიჩემის ცხონებამ (ილა); მამაჩემია იცოდა, იმ მამიჩემის ცხონებამ, ქორი რო ქათამს გაიტაცებდა, თუნდა იმის ცხვირშინათ, ხელს არ აუქნევდა; წილოს, მონაცირეთ (ვაჟა).

9. გაზრდამ:

საყვარელი არიან, შენგა გაზრდამ, შეგვარნი კაცნი (დ. ჭოქ); შენგა გაზრდამ, ერთი სამშენეთანი მეტნდა, მარა უეზი გამობმია... უსა-თუოდ აუქნის დახლში გადაბრძანდებოდა (ნ. ლორქე).

გიას გაზრდამ, ანიკე სულ იმას იძინი, ხეტა გაერთიანება მოხდესო (თ. დონქ.).

10. მამაშვილობამ:

ცხოვრება გაჭირდა, რაღაც ჩაი-ჩუი შემოილეს, ფულები იმას უნდება!.. მამაშვილობამ, ეს ჩაი დაგვლებავს ჩვენ (ჭ. ანტ.); პა, ცეცი, მოგილოცონი-შენობარი ლერთმანი, მამაშვილობამა, რომ ძალიან ჭივიანური საქმე გიქ-ნია (ს. მგალ); რა იცი, რო ვისაც ეშვილები, ისცი არ დაგცინის? ბევრი კადევ დაგვინებს, მამაშვილობამ (ვაჟა); მამაშვილობამ, სულ ერთია, საღაც უნდა დაიმარხოს მევდარი, სულს თავისი ადგილი აქვს (ვაჟა); ეგ შენი ჟიში, მამაშვილობამ, სრულიად უსაფუძლოა (დ. ჭლდ.).

11. დედაშვილობამ:

ხომ გვინია? ტყვილს არასოდეს არ ვიტყვი, დედაშვილობამ; სულს როგორ წავიწყმენდ (აკაფი); ნუ ტირიო, შვილებო, ნუ! მამი ისევ დაბრუნდება, დედაშვილობამა, — ატყუბდა მარინე (ს. მგალ); რა კარგია ეს ლომში შეხვეული სულგუნი! გვმრიელია, დედაშვილობამ (გ. წერ); დედაშვილობამ, შენი რომ არ მეტიდებოლებს, ქ... სს ვერაფერი დაბაყენებს (გ. წერ); თუ შენ პატრიო არ იშვერე, დედაშვილობამა, არ ვამოვალგება ეგრე ყოფნა (ვაჟა); ვერ უჯრებო, იძამიანებო, ი ძალლტიალა როგორ ლმუსი? ცუდი ნიშანია, დედაშვილობამ, უთუოდ მოკველება ვინმე (ვაჟა); გუშვი, ხელი, თვარა, დედაშვილობამ, სხვაი თუ არა, ჩემს თავს მაინც შემოგაქლევ!

დარაც (ოღონდ ახლა წაჲყევი, ოღონდ მაგას ჩვენზე ნუ გაახელებო). წინადაღებაში გვაქვს დედაშვილობამ, ე. ი. უპირატესობა რწმუნება-მტკიცების ნიუანსს აქვს მიცემული, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა მიცემითი ბრუნვის ხმარებაც: დედაშვილობას, ოღონდ ახლა წაჲყევი, ოღონდ ჩვენზე ნუ გაახელებ ფეფენასო. თხოვნის მომენტი აქ მით უფრო ანგარიშგასაწევია, რომ ფეფენა სოფელში კულიანად ითვლებოდა და ყველას მისი შიში და რილი ჰქონდა, მასთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ.

აქვე შეიძლება გივისენოთ ყავი წერეთლის ცნობილი ლექსის („განთიადი“) ერთი ადგილი:

დ ე დ ა შ ვ ი ლ თ ბ ა მ, ბ ე რ ს ა რ გ თ ხ ვ:
შ ე ნ ს მ ი წ ა ს მ ი მ ა ბ ა რ ე რ ე.

თითქოს თხოვნაა აქ მთავარი: სამშობლო მხარეს ევედრება მგო-სანი: „შენს მიწას მიმაბარეო“. ასე რომ, სავსებით თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო: დედაშვილობას ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო. მაგრამ პოეტს ნახმარი აქვს დედაშვილობამ. ამიტომ ეს ადგილი ასე უნდა გავიგოთ: დედაშვილობამ, ცოტა რამეს გთხოვ. ე. ი. ფული ეყუთვნის არა თხოვნას, არამედ იმის მტკიცება-რწმუნებას, რომ თვით თხოვნის საგანი უმნიშვნელოა, ბევრი არაფერია. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ეს გამოთქმა ორ ნაწილად იყოფა და პირველი ნაწილის შემდეგ ორწერტილი ზის. შეორე ნაწილი წინადაღებისა წარმოადგენს პირველის დაკონკრეტებას.

დაბოლოს, განვიხილოთ ფიცის ფორმულების ვამყენების ერთი თავისებურებაც. საქმე ეხება ფიცის ფორმულების ერთ ჯგუფს, სადაც ფორმალურად რწმუნება-მტკიცების გამოთქმა-გვაქვს, მაგრამ სინამდვილეში ფიცის ფორმულის სახით ირონიული გამოთქმა მართვება.

შევადაროთ ერთმანეთს ასეთი ფორმულები:

თუ გნებაეს, იმათაც მოიწვევ, თქვენმა სიცოცხლემ, ახლავე გაახლები, დავიტიებ (ლ. არდ).

მოიპრანე, შენმა სიცოცხლემ, ქსნის ერისთავი მოვა შენ მოსატა-ცებლად (ჟ. გაბ.).

პირველ წინადაღებაში ჩვეულებრივი ფიცის ფორმულაა რწმუნება-მტკიცების შინაარსისა. მეორე წინადაღებაშიც ფორმალურად ფიცი გვაქვს, მაგრამ მისი შინაარსი სულ სხვა — გამოთქმა ირონიულია.

კიდევ რა მაგალითი:

უმ, უმ! შენდა მზე მ, კარგი ჩამ მოიგონე (ილა).

შენდა მზე მა, ბატონიშვილი მოვა შენი გომბისთვისა (ხ. მგალ).

აქაც იგივე კონტრასტია.

ამგვარი ფიცის ფორმულების რიცხვი ენაში ცოტა როდია. შედ-
გენილობის მიხედვით ასეთი გამოთქმები მრავალგვარია. მაგალითები:

რაო, ოთარანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის?... მაშ არა-და, ზაგის
თავის მზე მ, ჩემს თავს ჭურს დაგაკლებდი და მაგის ქალამინში მიყცემდი, —
იტყუა ოთარანთ ქვრივმა (ილა); შენდა მზე მ, კონძ თუ იცის შენი აზ-
ბავი, აკი იმატომ ებრალები, — უთხრა მას გიგომ (ხ. ლომ); შენ წმოგყვე, შენ-
და მზე მ, მშეოუნახავს მომიყვანა შენ დუქანში (ხ. ლორთქ).

რაო, მოგეწონა? მოგეწონა, თითქოს ბატონისშეიღლი იყო! სხვა არა მოგეწონა-
რა, მამა გიცცხონდა? როგორ თუ „ჩემი და შენი წყალიო!“ — ღიყვირა
მიხეილ ყულაბიშვილმა, — მამა გიცცხონდა, დიდი მონაწილე არა ხარ ხეთ-
მილაბართი! (ხ. ლომ); მამა გიცცხონდა, ყურჩედ ხახვი არ ღმამშებას!...
უთხრა მეკახედ ესტატემ (ხ. მგალ).

რაც მექვა, ის ჭამინ, იმასაც კარგად გაიხლებან!.. არა, ზაგათ სიცოცხლე
ლე მ, ძროხს ღოვეუკლევ (დ. კლდ); გვერდში ამოუყენოს ჩემს ჩაბატონის
სოფლის ნაციონში ამოქენილი ქალბატონი!.. თავისი ტყველწასული შვილი გოუ-
ტოლოს ბეგარა ჭირიარისეს! მიგათმა სიცოცხლე მ! დეასხათ მაგათ თავს-
ლაფი! (დ. კლდ); ნუ გყავთ მაგი სახლში... გამოაგდეთ... კარში გამოავდეთ! —
შენდა სიცოცხლე მ! — გამოსძიხა მარინე სახლიდან (დ. კლდ); მანიძილი
ნუ გთხოვდები, სანამ ვანებ არ შეიყვარო და კისერზე არ მიერვიო ისე მიგრად,
რომ ვერსად გაგებებს... დიხა, შენდა სიცოცხლე მ (დ. კლდ); შენ, ვაჟა-
ტონი, ბაზრობა რომ გათავდება, მაშინ წილი, შენდა სიცოცხლე მ (დ. კლდ);
თავი დამანებებ, თვარა ხელისხლა მიგამტვრევ მაგ დამტვრეულ ფეხებს! თავი დამა-
ნებებ, შენ შემეწევა, შენდა სიცოცხლე მ, რომ გამიტირდეს... (დ. კლდ).

სიცოცხა, თვარა, მამიშენის ქოჩში თორენესეით თბილა, შენდა გახეთქამ!...
ადექსი! (ხ. ლორთქ).

ჩემოთქმულის საცურველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დას-
კვნა.

ფიცის ფორმულები თავისი სტრუქტურობა და სემანტიკური ნიუ-
ანსებით მრავალფეროვანია. ენობრივი თვალსაზრისით ინტერესს
იწვევს ფიცის ფორმულების ერთი ისეთი ტიპი, სადაც არსებითი სა-
ხელი დგას მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში. ამ ტიპის გამოთქმებ-
ში ზოგჯერ ხსენებულ ბრუნვათა აღრევის შემთხვევებიც შეინიშნება.
განხილული მასალის ანალიზშა შემდეგი გვიჩვენა: რომ არ შევვეშა-
ლო, ლირის ფორმულებში მოთხრობით და მიცემით ბრუნვის ხმა-
რება, საჭიროა გვამახვილოთ ყურადღება ამ ფორმულის შინარ-
სობრივ მხარეზე. ექ, სადაც ფიცის ფორმულაში გვაქვს რისამე-

მ ტკ ი ცე ბა (და ამ მტკიცებისთვისაა მოხმობილი საფიცარი სიტ-
ყვა), არსებითი სახელი უნდა ვიხმაროთ მთთ ხრობით ბრუნ-
ვაში (დედაშვილობამ, მამაშვილობამ, ცხონებამ...). ხოლო იმ შემ-
თხვევაში, სადაც ფიცის ფორმულას აქვს ხვეწნამუღარის
შინაარსი, არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში უნდა იქნეს
დასმული (დედაშვილობას, მამაშვილობას, ცხონებას...).
